

ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი
იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრი
ადამიანის უფლებათა სამართალში

წესები

1. შეჯიბრის ზოგადი ორგანიზაცია

1.1. იმიტირებულ სასამართლო პროცესების შეჯიბრი ადამიანის უფლებათა სამართალში (“შეჯიბრი”) ტარდება თავისუფალ უნივერსიტეტთან არსებული ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის მიერ. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი ნიშნავს შეჯიბრის ადმინისტრატორს და სამეთვალყურეო საბჭოს 3 (სამი) წევრის რაოდენობით.

1.3. შეჯიბრი შედგება სამი ეტაპისგან: 1) შესარჩევი ეტაპი (რეგისტრაცია, წერილობითი განაცხადების წარდგენა, ტრენინგი); 2) ზეპირი განხილვების პირველი რაუნდი 3) ზეპირი განხილვების ფინალური რაუნდი (ნახევარ-ფინალი და ფინალი).

1.4. ადმინისტრატორი შეიმუშავებს და მონაწილე გუნდებს გააცნობს შეჯიბრის განრიგს, რომელიც მოიცავს შეჯიბრთან დაკავშირებულ ძირითად ვადებსა და პირობებს.

2. მონაწილეობა და გუნდების შემადგენლობა

2.1. შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში “დაწესებულება”) სამართლის სკოლების ბაკალავრიატის (მე-2, მე-3 და მე-4 კურსი) და მაგისტრატურის სტუდენტებით დაკომპლექტებულ გუნდებს. გუნდის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ მხოლოდ ერთი დაწესებულების სტუდენტები. გუნდები, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილნი იქნებიან სხვადასხვა დაწესებულების სტუდენტები, არ იქნებიან რეგისტრირებულნი შეჯიბრში მონაწილეობისთვის.

2.2. თითოეული დაწესებულებიდან შეჯიბრში მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

2.3. შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 2 (ორი) და არა უმეტეს 4 (ოთხი) სტუდენტისგან. გუნდის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ რეგისტრირებული სტუდენტები. რეგისტრაციის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში რაიმე სახის ცვლილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

თუ ობიექტურად შეუძლებელია ერთ-ერთი მონაწილის / სტუდენტის მონაწილეობა შეჯიბრში, გუნდს შეუძლია:

ა. მონაწილეობა გააგრძელოს დარჩენილი შემადგენლობით, თუ გუნდში დარჩენილი სტუდენტების რაოდენობა არ არის ორზე ნაკლები;

ან

ბ. ითხოვოს გუნდში ახალი სტუდენტის დამატება.

სასურველი ცვლილების თაობაზე გუნდმა დასაბუთებული წერილობითი მიმართვა უნდა გაუგზავნოს ადმინისტრატორს. წერილობითი მიმართვიდან სამი სამუშაო დღის ვადაში შეჯიბრის ადმინისტრატორი შეატყობინებს გუნდს, მათი ცვლილებასთან დაკავშირებული თხოვნის დაკმაყოფილების ან უარის შესახებ. ცვლილებაზე უარის შემთხვევაში, გუნდი ვერ გააგრძელებს შეჯიბრში მონაწილეობას.

თუ გუნდი შეეცდება შეჯიბრში შეცვლილი შემადგენლობით მონაწილეობის მიღებას ამ პუნქტით დადგენილი წესის გვერდის ავლით, ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია ცვლილების აღმოჩენისთანავე.

2.4. გუნდის შემადგენლობაში ყოფნის უფლება აქვს პირს, რომელიც რეგისტრაციის მომენტისა და შეჯიბრის ჩატარების დროს:

ა) არის რომელიმე დაწესებულების სტუდენტი;

ბ) არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი;

აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

2.5. გუნდების შემადგენლობის ფორმირება შეიძლება განხორციელდეს სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად ან დაწესებულებაში არსებული შესაბამისი წესებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუკი გუნდის შემადგენლობის ფორმირება ხორციელდება დაწესებულებაში არსებული წესებით, აკრძალულია შერჩევისათვის შეჯიბრის საქმის მასალების გამოყენება. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

3. გუნდების რეგისტრაცია

3.1. გუნდების რეგისტრაციას ახორციელებს შეჯიბრის ადმინისტრატორი. რეგისტრაციისათვის გუნდმა უნდა შეავსოს ონლაინ-განაცხადი, რომლის ფორმასაც შეიმუშავენ ადმინისტრატორი.

3.2. თითოეული გუნდი წარმოადგენს ოფიციალურ საკონტაქტო პირს, რომელსაც შეჯიბრის მსვლელობისას მიეწოდება გუნდთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და კომუნიკაცია. საკონტაქტო პირისათვის ინფორმაციის მიწოდება ჩაითვლება გუნდისათვის ინფორმაციის მიწოდებად.

3.3. რეგისტრაციის დასრულებისას თითოეულ გუნდს მიენიჭება გუნდის ოფიციალური ნომერი.

3.4. სარეგისტრაციო ინფორმაციაში ცვლილების შემთხვევაში გუნდი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრატორს ცვლილების შესახებ. ცვლილება მიღებულად ითვლება ადმინისტრატორისგან შესაბამისი დადასტურების შემდეგ. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

4. მომზადება და დახმარება გუნდებისათვის

4.1. შეჯიბრისათვის საჭირო კვლევა, წერილობითი განაცხადების წარდგენა და ზეპირი განხილვებისთვის მზადება ხორციელდება მხოლოდ გუნდის წევრების მიერ. დაუშვებელია აღნიშნულ პროცესში გარეშე პირების ჩართვა, გარდა გუნდის მრჩეველისა.

4.2. თითოეულ გუნდს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი მრჩეველი. გუნდის მრჩეველი გუნდს აძლევს ზოგადი ხასიათის რჩევებს მხოლოდ შემდეგ საკითხებზე:

- ა) სამართლის ზოგადი პრინციპები;
- ბ) სამართლის კვლევის მეთოდები და წყაროები;
- გ) წერილობითი განაცხადის წერის ტექნიკა;
- დ) ზეპირი გამოსვლის უნარები;
- ე) სამართლებრივი არგუმენტების სტრუქტურირება;
- ვ) ზეპირი გამოსვლის სტრატეგია.

აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

4.3. დაუშვებელია ნებისმიერი სახით რჩევის მიღება სხვა გუნდის წევრებისგან მიუხედავად იმისა, აგრძელებს თუ არა ეს გუნდი მონაწილეობას შეჯიბრში. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

4.4. დაუშვებელია სხვა გუნდის წერილობითი განაცხადის გამოყენება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გუნდებს გადაეცემათ მოწინააღმდეგე გუნდის სარჩელები ზეპირი განხილვების წინ. გუნდებს შეუძლიათ გამოიყენონ მოწინააღმდეგე გუნდის სარჩელში ან ზეპირი განხილვებისას მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტები. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

4.5. გუნდებს შეუძლიათ წერილობითი ფორმით მოითხოვონ საქმის მასალებთან დაკავშირებით განმარტებები და შესწორებები შეჯიბრის ადმინისტრატორისგან. ადმინისტრატორი შეიმუშავებს და ყველა მონაწილე გუნდს მიაწვდის საქმის მასალებთან დაკავშირებულ განმარტებებს და შესწორებებს.

4.6. შეჯიბრის მსვლელობისას გუნდებმა უნდა შეინარჩუნონ ანონიმურობა და ეკრძალებათ მოსამართლეებს გაუმხილონ სასწავლო დაწესებულების სახელი. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

5. მოსამართლეები

5.1. შეჯიბრისათვის მოსამართლეების შერჩევას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო ადმინისტრატორის მიერ წარდგენილი სიიდან.

5.2. მეხუთე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მიზნებისათვის ტერმინი “კავშირი” და მისგან ნაწარმოები ტერმინები (მაგ. დაკავშირებული პირები) გულისხმობს ნათესაურ, პედაგოგიურ

(მწვრთნელი, ლექტორი, მასწავლებელი, ა.შ.), სამეცნიერო (თემის ხელმძღვანელი, კლევის თანამონაწილე, ა.შ.) ან/და პროფესიულ (შრომითი ურთიერთობა, ერთსა და იმავე პირთან მუშაობა, ა.შ.) პირდაპირ კავშირსა და ურთიერთობას. ნაცნობობა არ შეიძლება მიჩნეული იქნას კავშირად ამ მუხლის მიზნებისათვის.

5.3. როდესაც მოსამართლე მონაწილეობას იღებს ზეპირ გამოსვლებში, სადაც გამოდის დაწესებულების გუნდი, რომელთანაც მოსამართლეს აქვს კავშირი, მოსამართლე ვალდებულია აცნობოს აღნიშნული კავშირის შესახებ ადმინისტრატორს. თუ ასეთი კავშირი ეჭვქვეშ დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა შესაბამის ზეპირ გამოსვლაში.

5.4. დაუშვებელია მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს იმ ზეპირ გამოსვლებში, სადაც გამოდის გუნდი, რომლის წევრთანაც მას აქვს კავშირი, თუკი ეს კავშირი ეჭვქვეშ დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოსამართლე ვალდებულია აცნობოს აღნიშნული კავშირის შესახებ ადმინისტრატორს.

5.5. თუკი მონაწილე გუნდი მიიჩნევს, რომ ზეპირ გამოსვლაში მონაწილე მოსამართლე აცილებული უნდა იქნას ამ მუხლის მიხედვით, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრატორს ზეპირი გამოსვლის დაწყებამდე.

5.6. გადაწყვეტილებას აცილებაზე იღებს ადმინისტრატორი.

5.7. ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ მოსამართლეებს უფლება აქვთ, მისცენ გუნდებს შეჯიბრთან დაკავშირებული ისეთი რჩევები, რომელიც არ უკავშირდება საქმის შინაარსს და მიმართულია ძირითადად ზეპირი გამოსვლის უნარ-ჩვევებზე. რჩევის მიცემისას დაუშვებელია გამოვლენილი იქნეს გუნდის წევრებისათვის წერილობით სარჩელზე ან ზეპირი გამოსვლისათვის მინიჭებული ქულები ან/და შეფასება.

6. იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმე

6.1. იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმის მომზადება ხდება ადმინისტრატორის მიერ მოწვეული ექსპერტების მიერ, რომელთა ვინაობაც ანონიმურია შეჯიბრის დამთავრებამდე.

6.2. შეჯიბრის გამოცხადებისას განცხადებაში უნდა მიეთითოს იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმის დავის საგანი. შეჯიბრის რეგისტრაციის გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში ხელმისაწვდომი იქნება იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმის სრული ვერსია ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

6.3. იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმის განხილვისათვის გამიზნული საპროცესო წესები გაეზავნებათ რეგისტრირებულ გუნდებს და აგრეთვე ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

7. წერილობითი განაცხადები

7.1. შეჯიბრში მონაწილე თითოეული გუნდი ამზადებს წერილობით სარჩელს და შესაგებელს შესაბამისად მოსარჩელის და მოპასუხის მხრიდან (შემდგომში ორივე დოკუმენტი ერთობლივად

მოიხსენიება, როგორც “წერილობითი განაცხადები”).

7.2. წერილობითი განაცხადები გაგზავნილი უნდა იქნას ელექტრონულ ფოსტაზე: nihir@freeuni.edu.ge არა უგვიანეს შეჯიბრის განრიგში მითითებული თარიღის 23:59 საათისა.

7.3. გუნდი, რომელიც არ ჩააბარებს წერილობით განაცხადებს 7.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრიდან.

7.4. თითოეულ წერილობითი განაცხადს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები, რომელთა დარღვევა იწვევს ჯარიმას 10.3 მუხლით გათვალისწინებული ქულის ოდენობით:

ა) ფორმატი: Microsoft word (.doc/.docx);

ბ) გვერდის სიდიდე: 21.6 X 27.9 სმ

გ) საზღვრები: 2.54 სმ ოთხივე მხარე;

დ) ფონტის სახე და ზომა: Sylfaen, 12;

ე) დაშორება სტრიქონებს შორის:

1. წერილობითი განაცხადის ტექსტში: 1.5;

2. წერილობითი განაცხადის სქოლიოში “single”;

3. დაშორება სათაურებსა და ტექსტს შორის: “double”;

4. დაშორება ციტირებულ ტექსტში: “single”;

7.5. წერილობითი განაცხადის ტექსტი არ უნდა შეიცვადეს “track changes”, “comments”, “highlights” და მსგავს ელემენტებს. ამ წესის დარღვევა იწვევს ჯარიმას 10.3 მუხლით გათვალისწინებული ქულის ოდენობით.

7.6. თითოეული წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს, რომელთა არარსებობის ან მახასიათებლების დარღვევის შემთხვევაში გუნდი მიიღებს ჯარიმას 10.3 მუხლით გათვალისწინებული ქულის ოდენობით:

ა) თავფურცელი;

ბ) სქოლიო;

გ) გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი;

დ) განაცხადის მოკლე შინაარსი;

ე) განაცხადის საკითხები;

ვ) განაცხადის არსებითი ნაწილი.

7.7. განაცხადის თავფურცელზე მითითებული უნდა იყოს გუნდის სახელი (ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში); სასამართლოს სახელი; შეჯიბრის წელი; საქმის სახელი; დოკუმენტის სახელი (სარჩელი ან შესაგებელი) და შესაბამისად გუნდის მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე).

7.8. გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს განაცხადში გამოყენებულ ყველა სამართლებრივ წყაროს (ნორმატიული აქტი, სამეცნიერო ნაშრომი, პრეცედენტული სამართალი, ა.შ.) არსებით ნაწილში გამოყენების გვერდის მითითებით.

7.9. განაცხადის მოკლე შინაარსი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას.

7.10. განაცხადის არსებითი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 3500 სიტყვას (სქოლიოების ჩათვლით).

7.11. ციტირებისას აუცილებელია დაცული იქნას ერთგვაროვნება.

8. საქმის ზეპირი განხილვები

8.1. ზეპირ განხილვებზე დაიშვებიან გუნდები, რომელთაც შესაბამის ვადაში ჩააბარეს წერილობითი განაცხადები. თუკი გუნდების რაოდენობა, რომელთაც ჩააბარეს წერილობითი განაცხადები აღემატება 8 (რვას) გუნდს, ზეპირ განხილვაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ის 8 (რვა) გუნდი, რომელთა წერილობითმა განაცხადებმა მიიღეს უმაღლესი ქულები. ცნობას ზეპირ განხილვაში მონაწილეობის შესახებ გუნდები მიიღებენ შეჯიბრის ადმინისტრატორისგან.

8.2. გუნდების დაწყვილება ზეპირი განხილვებისთვის მოხდება ფარული წილისყრის საფუძველზე. ზეპირ განხილვამდე ერთი დღით ადრე გუნდებს გადაეცემათ მოწინააღმდეგე გუნდის შესაბამისი წერილობითი განაცხადი.

8.3. ზეპირი განხილვები ჩატარდება 2 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის წინაშე. მოსამართლეთა შერჩევა ყველა კონკრეტული განხილვისთვის განხორციელდება ფარული წილისყრის საფუძველზე.

8.4. ზეპირი განხილვა ჩატარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

8.4.1. მოსარჩელე მხარის სიტყვა - არაუმეტეს 2 გამომსვლელი (30 წუთი);

8.4.2. მოპასუხე მხარის სიტყვა - არაუმეტეს 2 გამომსვლელი (30 წუთი);

8.4.3. მოსარჩელის შემაჯამებელი სიტყვა (10 წუთი);

8.4.4. მოპასუხის შემაჯამებელი სიტყვა (10 წუთი);

8.5. ზეპირი გამოსვლისას მოსამართლეებს აქვთ უფლება გამომსვლელებს დაუსვან კითხვები.

8.6. დაუშვებელია გუნდის წევრები ან გუნდთან დაკავშირებული პირები, მანამ სანამ ეს გუნდი მონაწილეობს შეჯიბრში, დაესწრონ სხვა გუნდების ზეპირ განხილვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ესწრებიან ამ გუნდის ზეპირ განხილვებს.

9. გუნდების შეფასება

9.1. შესარჩევ ეტაპზე სამეთვალყურეო საბჭო შეაფასებს თითოეული გუნდის მიერ მომზადებულ სარჩელსა და შესაგებელს.

9.2. შესარჩევ ეტაპზე გუნდის წერილობითი განაცხადების საერთო შეფასება მიიღება გუნდის სარჩელის (მოსარჩელის პოზიცია) და შესაგებელის (მოპასუხის პოზიცია) სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრის მიერ გაკეთებული შეფასებების შეჯამებით (საშუალო არითმეტიკულით). შეფასება განხორციელდება 50-იდან 100 ქულამდე შკალით. შეფასების ფორმას შეიმუშავენ შეჯიბრის ადმინისტრატორი. შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება საჯარიმო ქულები. 8 გუნდი, რომელთა წერილობითი განაცხადები მიიღებს უმაღლეს შეფასებას, გაივლის საქმესთან დაკავშირებულ ტრენინგს და გადავა ზეპირი განხილვების პირველი რაუნდის ეტაპზე.

9.3. ზეპირი განხილვების პირველ რაუნდზე ტარდება 8 ზეპირი განხილვა: თითოეული გუნდი

გამოდის როგორც მოსარჩელედ, ისე მოპასუხედ და შესაბამისად მონაწილეობს ორ ზეპირ განხილვაში. ზეპირი განხილვის შეფასება მიიღება მოსარჩელედ ან მოპასუხედ გამოსვლისას ორი მოსამართლის მიერ გაკეთებული შეფასებების ჯამის საშუალო არითმეტიკულით. შეფასება განხორციელდება 50-იდან 100 ქულამდე შკალით. თითოეული ზეპირი განხილვის ბოლოს, გუნდი, რომელიც მიიღებს უფრო მაღალ შეფასებას, დასახელდება გამარჯვებულ გუნდად. შეფასების ფორმას შეიმუშავებს შეჯიბრის ადმინისტრატორი.

9.4. შეჯიბრის ფინალურ ეტაპზე გადავა 4 გუნდი, რომელიც გამარჯვებულად დასახელდება მათი მონაწილეობით ჩატარებულ ორივე ზეპირ განხილვაში. თუ ზეპირი განხილვების პირველი რაუნდის ბოლოს არ გამოვლინდება ორჯერ გამარჯვებულად გამოცხადებული 4 გუნდი, პირველ რიგში განისაზღვრება ორჯერ გამარჯვებული გუნდების რაოდენობა. ეს რაოდენობა 4-მდე შეივსება იმ გუნდებიდან, რომლებიც ერთხელ მაინც დასახელდნენ გამარჯვებულად ზეპირი განხილვების პირველ რაუნდზე იმის მიხედვით, თუ რომელმა გუნდებმა მიიღეს უმაღლესი შეფასება (ორივე ზეპირი განხილვის ქულების ჯამის საშუალო არითმეტიკული).

9.5. თითოეული ზეპირი განხილვის ბოლოს, ორი მოსამართლე ერთობლივად ასახელებს საუკეთესო გამომსვლელს თითოეული გუნდიდან და აფასებს მათ 50-იდან 100 ქულამდე შკალით. შეფასების ფორმას შეიმუშავებს შეჯიბრის ადმინისტრატორი. შეფასების საფუძველზე გამოვლინდება შეჯიბრის საუკეთესო გამომსვლელი.

9.6. ზეპირი განხილვების ფინალური ეტაპი შედგება ნახევარფინალისა და ფინალისგან.

9.7. ნახევარფინალში თითოეული გუნდი გამოვა მოპასუხედ ან მოსარჩელედ ერთ ზეპირ განხილვაში. გუნდის როლი (მოსარჩელე ან მოპასუხე) გადაწყდება ფარული წილისყრით. ფინალში გასულად გამოცხადდება შესაბამისად 2 გამარჯვებული გუნდი, რომელთა ზეპირი გამოსვლის ქულა არის უმაღლესი.

9.8. ფინალში ჩატარდება ერთი ზეპირი განხილვა ნახევარფინალში გამარჯვებული ორი გუნდის მონაწილეობით. გუნდების როლი (მოსარჩელე ან მოპასუხე) შეირჩევა ფარული წილისყრით. ფინალში ქულები იანგარიშება შემდეგი წესით:

გუნდის მიერ ფინალურ ზეპირ განხილვაში მიღებული ქულა - 60%

გუნდის წერილობითი განაცხადების ქულა - 40 %

ფინალურ რაუნდში გასული გუნდების წერილობითი განაცხადების შეფასებისას გამოიყენება შესარჩევ ეტაპზე მიღებული წერილობითი განაცხადების ქულა.

9.7. ფინალში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომლის წერილობითი განაცხადებისა და ფინალური ზეპირი გამოსვლისას მიღებული ქულების ჯამი არის მეტი მოპირისპირე გუნდთან მიმართებაში.

9.8. ზეპირი განხილვების პირველი რაუნდის დასრულების შემდეგ ყველა გუნდი, რომელიც ვერ გადავა ფინალურ ეტაპზე, მიიღებს მოსამართლეთა მიერ შევსებულ შეფასების ფორმებს.

9.9. ფინალური რაუნდის დასრულების შემდეგ ყველა გუნდი მიიღებს მოსამართლეთა მიერ შევსებულ შეფასების ფორმებს.

10. საჯარიმო ქულები

10.1. წერილობითი განაცხადების შეფასებისას სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ითვალისწინებენ ჯარიმებს. წერილობითი განაცხადის საჯარიმო ქულების დათვლას და მიღებული შეფასებისათვის გამოკლებას ახორციელებს შეჯიბრის ადმინისტრატორი. წერილობითი განაცხადების საბოლოო შეფასება არ შეიძლება იყოს 50 ქულაზე ნაკლები მიუხედავად საჯარიმო ქულების რაოდენობისა.

10.2. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე შეჯიბრის ადმინისტრატორი წერილობით აცნობებს დაჯარიმებულ გუნდებს მიღებული საჯარიმო ქულების რაოდენობისა და მიზეზების შესახებ და მისცემს 2 (ორი) დღის ვადას გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის.

10.3. საჯარიმო ქულების დაკისრება მოხდება შემდეგი წესით:

ა) ფონტის სახე - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

ბ) ფონტის ზომა - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

გ) დაშორება სტრიქონებს შორის - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

დ) “track changes”, “comments”, “highlights” - 5 ქულა ერთჯერადად;

ე) თავფურცელის ფორმა და ინფორმაცია - 2 ქულა ერთჯერადად;

ვ) განაცხადის ნაწილების გამოტოვება ან დამატება - 2 ქულა თითოეული ნაწილისათვის;

ზ) განაცხადის სიტყვების საერთო რაოდენობის გადამეტება:

- 1-100 სიტყვა – 3 ქულა;

- 101-200 სიტყვა – 6 ქულა;

- 201 – 300 სიტყვა – 9 ქულა;

- 301 – 400 სიტყვა – 12 ქულა;

- 400 და მეტი სიტყვა – 15 ქულა;

თ) განაცხადის მოკლე შინაარსის სიტყვების რაოდენობის გადამეტება - 2 ქულა

ი) პლაგიარიზმი - 1-50 ქულამდე;

კ) ფორმატი - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

ლ) გვერდის სიდიდე - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

მ) საზღვრები - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

ნ) დაშორება სათაურებსა და სტრიქონებს შორის - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

ო) დაშორება ციტირებულ ტექსტში - 1 ქულა (მაქსიმუმ 5);

10.4. პლაგიარიზმს წარმოადგენს სხვისი ნაწერის მითვისება და მისი საკუთარი შრომის შედეგად გასაღება.

10.5. პლაგიარიზმის აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო ქულების რაოდენობას 1-50 ქულამდე

განსაზღვრავს შეჯიბრის ადმინისტრატორი პლაგიატიზმის სიმძიმის და საქმისათვის მისი არსებითობის მიხედვით.

10.6. ზეპირი განხილვებისას მხარეები უნდა მოიქცნენ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი, სასამართლოს პატივისცემის მოთხოვნების შესაბამისად. რომელიმე მხარის მიერ სასამართლოსადმი/ან მოწინააღმდეგე მხარისადმი უპატივცემულობის გამოვლენის შემთხვევაში, მოსამართლეებს უფლება აქვთ მოთხოვონ შესაბამის პირს დარბაზის დატოვება.

10.7. თუკი გუნდი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე გუნდის მიერ მოხდა წესების დარღვევა, მან წერილობით უნდა აცნობოს სხდომის მდივანს ან შეჯიბრის ადმინისტრატორს სხდომის დასრულებიდან 10 წუთის განმავლობაში. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დარღვევის სახე და დამრღვევის ვინაობა. აღნიშნული წესის დაუცველობის შემთხვევაში საჩივარი არ მიიღება.

10.8. თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ მოხდა წესების დარღვევა მან წერილობით უნდა აცნობოს სხდომის მდივანს ან შეჯიბრის ადმინისტრატორს სხდომის დასრულებიდან 10 წუთის განმავლობაში. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დარღვევის სახე და დამრღვევის ვინაობა.

10.9. ზეპირი განხილვებისას საჯარიმო ქულების დაკისრება მოხდება გუნდის მიერ მიღებული შეფასებიდან შემდეგი რაოდენობით:

აკრძალული კომუნიკაცია- 10 ქულა;

გუნდის წევრების ან გუნდთან დაკავშირებული პირების დასწრება სხვა არამოპირისპირე გუნდების ზეპირ განხილვაზე - 30 ქულა.

10.10. შეჯიბრის ადმინისტრატორი გუნდს ზეპირი განხილვისას მიღებული ჯარიმის შესახებ აცნობებს ზეპირი განხილვის დასრულებიდან 6 საათის განმავლობაში.

10.11. გარდა ზემოაღნიშნული საჯარიმო ქულებისა, შეჯიბრის ადმინისტრატორი უფლებამოსილია გუნდს დააკისროს დისკრეციული ჯარიმა 15 საჯარიმო ქულამდე გუნდის წევრების ან მათთან დაკავშირებული პირების მიერ ისეთი ქმედებისათვის, რაც ეწინააღმდეგება შეჯიბრის ზოგად მიზნებსა და პრინციპებს. მსგავსი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს: შეჯიბრის სამართლიანობის პრინციპის დარღვევას, მოწინააღმდეგე გუნდისადმი დაუსაბუთებელი საჩივრის წარდგენას, ზეპირი განხილვისას პროცედურების აშკარა დარღვევას, შეჯიბრის წესების აშკარა უგულვებელყოფას, მოსამართლეებთან ე.წ. ex parte communication და ა.შ.

10.12. საჯარიმო ქულები შესაძლებელია გასაჩივრდეს გუნდების მიერ ადმინისტრატორისათვის წარდგენილი წერილობითი განცხადებით ჯარიმის შესახებ ცნობის მიღებიდან 6 საათის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილ განაცხადზე 1 (ერთი) დღის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.